



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080175195242419

№ 2827

01 / ივლისი / 2019 წ.

შპს „გლობალმეტალის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“;

ტენდერის ნომერი: NAT180020387;

შესყიდვის ობიექტი: 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „გლობალმეტალი“ (ს/ნ: 205250217);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 2 მაისს წარმოდგენილ იქნა სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ 2019 წლის 1 მაისის №MIA01901102632 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №4732), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გლობალმეტალის“ (ს/ნ: 205250217) მიერ NAT180020387 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 25 იანვრის № 01/454/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „გლობალმეტალს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე gm-info@list.ru, 2019 წლის 7 მაისის № 1742 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2019 წლის 25 იანვრის № 01/454/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, შეთანხმებული სამუშაოები ან არ სრულდებოდა, ან სრულდებოდა ხარვეზით. შესაბამისად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 23 აპრილის MIA71901042023 წერილით ეცნობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 19 დეკემბერს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ გამოაცხადა NAT180020387 ელექტრონული ტენდერი შენობის დასრულების სამუშაოების (CPV45400000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 იანვრის № 3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გლობალმეტალი“ (ს/ნ: 205250217) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2019 წლის 25 იანვარს გაფორმდა № 01/454/18 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა საგუშაგო ჯიხურების სარემონტო სამუშაოები შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, 2019 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 85 392,67 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 30 იანვარი.

4.4. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 6 თებერვლის № MIA41900311842, 11 თებერვლის № MIA71900347486, 18 თებერვლის № MIA91900423014, 20 თებერვლის № MIA11900443410, 25 თებერვლის № MIA41900482960 და № MIA91900490137, 26 თებერვლის № MIA21900496026, 28 თებერვლის № MIA31900520605, 1 მარტის № MIA81900532445, 19 მარტის № MIA21900698482, 20 მარტის № MIA81900711905 და 26 მარტის № MIA41900770537, 27 მარტის № MIA61900779026, 28 მარტის № MIA81900787191 და 1 აპრილის № MIA61900827275 წერილებით ეთხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

4.5. შემსყიდველ ორგანიზაციას მიმწოდებლის 2019 წლის 15 აპრილის წერილით ეცნობა, რომ კომპანიის დირექტორის – ზაზა ნაცვლიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებს გამო მიმწოდებელი ვეღარ შეძლებდა ნაკისრი ვალდებულებებს შესრულებას. ამავე წერილით კომპანიამ ითხოვა ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა.

4.6. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 8 აპრილის № MIA81900898431 წერილით ეთხოვა გარკვეულ საგუშაგოებზე უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორება.

4.7. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 15 აპრილის № MIA41900958412 წერილით მიეცა გაფრთხილება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

4.8. საქმეში არსებული სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის 2019 წლის 19 აპრილის № MIA31901010510 პაატაკით დგინდება, რომ მოთხოვნილი სამუშაოები ან არ სრულდებოდა, ან სრულდებოდა ხარვეზით.

4.9. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 23 აპრილის MIA71901042023 წერილით ეცნობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.10. საქმეში არსებული მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 1 480,21 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 2%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გლობალმეტალი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/

მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელს წარმოადგენს ორგანიზაცია და არა ფიზიკური პირი, შესაბამისად, მისი ერთი თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება არ შეიძლება გახდეს კომპანიის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიის დირექტორს შესაძლებლობა აქვს, თავისი უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირს. ამასთან, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ ზაზა ნაცვლიშვილი, როგორც ეს შენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2011 წლის 27 იანვრის № B11013323 ამონაწერით დგინდება, წარმოადგენს არა კომპანიის დირექტორს (როგორც ეს მითითებულია საქმეში არსებულ მიმწოდებლის 2019 წლის 15 აპრილის წერილში), არამედ მის ერთ-ერთ პარტნიორს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მიმწოდებელს გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და არ არსებობს მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. ამასთან, შესრულებულ იქნა 1 480,21 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „გლობალმეტალი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „გლობალმეტალი“ (ს/ნ: 205250217) 2019 წლის 2 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.